ბატონო პრეზიდენტო!
ბატონო პარლამენტის თავმჯდომარეო!
ბატონო პრემიერ-მინისტრო!
ბატონო პარლამენტის წევრებო!
ბატონო პოლიტიკოსებო!
ბატონებო!

საკმაოდ დიდხანს ვიფიქრე, მომემართა თუ არა წინამდებარე წერილით თქვენთვის, რამეთუ თქვენს უმეტესობას გასული წელიწადნახევრის განმავლობაში უკვე მოგმართეთ, ზოგს მხოლოდ წერილობით, ზოგს მხოლოდ პირისპირ, ზოგს როგორც წერილობით, ასევე პირისპირ..

მაგრამ თემის შინაარსმა და მისმა მნიშვნელობამ (ვგულისმობ საკონსტიტუციო რეფორმის პროექტს) გადამაწყვეტინა კიდევ ერთხელ მოგმართოთ..

დასაწყისშივე აღვნიშნავ - მოგმართავთ პატივისცემით, როგორც ქართველი ქართველს, მიუხედავად იმისა, რომ ნებსით თუ უნებლიეთ, ზოგიერთი თქვენთაგანი არაქართულ საქმეს შეიძლება უფრო აკეთებდეს.

ნათქვამია, **მოყვარეს პირში უძრახეო**, ამიტომ გთხოვთ წინამდებარე წერილში ჩემს მიერ მოყვანილი ზოგიერთი კრიტიკული მოსაზრება მიიღოთ ამ პოზიციის შესაბამისად.

საქმე იმაშია, რომ ზოგიერთმა თქვენთაგანმა უკვე ზუსტად იცის ქართული სამეცნიერო სკოლის ახალი პროდუქტის, ავტორის - საზოგადოებრივ მეცნიერებათა აკადემიური დოქტორის, ბ-ნ ემზარ ხვიჩიას მიერ შექმნილი ახალი სამეცნიერო დისციპლინის - „ნოოლოგიის“ არსებობა.

შესაბამისი დისერტაციის ტექსტი შეგიძლიათ ნახოთ ამ ბმულზე:
http://www.nplg.gov.ge/dlibrary/collect/0002/000613/D-Khvichia%20E.pdf

ნოოლოგიის გამოყენებით მიიღო ავტორმა კონცეფცია, რომელსაც „ოპტიმალიზმის დოქტრინა“ დაარქვა.

ემზარ ხვიჩიას „ნოოლოგიით“ და „ოპტიმალიზმის დოქტრინით“ კი სამეცნიერო ენაზეა პასუხი გაცემული ჩვენი ერისთვის უმნიშვნელოვანეს კითხვაზე - რა ფენომენია ქართველი ერი და რაში მდგომარეობს მისი ზოგადსაკაცობრიო ისტორიული ოპტიმალური როლი.

აქვე აღვნიშნავ - ნოოლოგია არ არის ემპირიულად მიღებული რამ. ის გახლავთ დიმიტრი უზნაძის განწყობის ფსიქოლოგიის განვითარება კონკრეტული აღმოჩენის საფუძველზე.

აუცილებლად მინდა აღვნიშნო, რომ ჩვენს გარემოში ასეულობით კონცეფციები თუ დოქტრინები ტრიალებს. სამწუხაროდ, მათი აბსოლუტური უმეტესობა მთლიანად ან ნაწილობრივ გაჯერებულია რელიგიური პოზიციებით. ნოოლოგია კი არის წმინდა სამეცნიერო ნაშრომი.

ნოოლოგიის შინაარსის მცოდნეთათვის ცხადზე ცხადია - შეუძლებელია ზუსტად იცოდე და დაიცვა ქართველი ერის ინტერესები ისე, რომ არ იცოდე ამ მასალების შინაარსი.

ჩვენთვის ასევე ცხადზე ცხადია - შეუძლებელია მიიღო ოპტიმალური კონსტიტუცია საქართველოსთვის, სანამ არ იცი ნოოლოგიის მიხედვით, თუ რა ფენომენია ქართული სახელმწიფო და ზოგადსაკაცობრიო რა ოპტიმალური როლის შესრულება აკისრია მას.

შესაბამისად, მოგიწოდებთ მოაწყოთ შეხვედრა/განხილვა ნოოლოგიის და ოპტიმალიზმის დოქტრინის თემებზე, ცხადია, აკადემიურ ფორმატში.

საკონსტიტუციო რეფორმის პროექტთან დაკავშირებით ნოოლოგიის დასკვნებს ქვემოთ შემოგთავაზებთ.

რაც შეეხება ნოოლოგიის განხილვას ჩვენი მეცნიერებათა აკადემიის ან სხვა სამეცნიერო ორგანიზაციების მიერ - ეს პროცესი ამ ეტაპზე ხელოვნურად შეფერხებულია გარკვეული ობიექტური და სუბიექტური მიზეზების გამო. სწორედ ამიტომ იყო საჭირო, თქვენი, პოლიტიკოსების აქტიური მხარდაჭერა, რათა დადგენილიყო ერთხელ და სამუდამოდ - ნოოლოგიის შინაარსი ეს მართლა მეცნიერული რამაა თუ ავტორის მიერ მეცნიერებად წოდებული, სინამდვილეში კი სულელური და გაუგებარი აზრების გროვაა?

ფაქტი კი ჯიუტია - როგორც არაერთ პოლიტიკოსს მივაწოდეთ ინფორმაცია ნოოლოგიის და ოპტიმალიზმის დოქტრინის არსებობის, მნიშვნელობისა თუ პრაქტიკული ღირებულების შესახებ, ასევე მივაწოდეთ შესაბამისი დისერტაციის ტექსტები და სხვა მასალები (ამაზე უფრო ვრცლად ვისაუბრებ ქვემოთ), მაგრამ მათგან არ მომხდარა ამ მასალების აქტიურად განხილვის ინიცირება, ასევე დევს ჩვენს მეცნიერებათა აკადემიაში შესაბამისი მასალა და ელოდება განხილვას უკვე რამდენიმე წელია..

შეუძლებელია არ გაგახსენდეს - **თურაშაულის პატრონი ტყეში ეძებდა პანტასო.**

სირაქლემას პოზა?

2016 წლის განმავლობაში გვქონდა ასეულობით შეხვედრა, მათ შორის შეხვედრები ქართველ პოლიტიკოსებთან - პარლამენტისა და მთავრობის წევრებთან და სხვებთან.

თემის განხილვის შეთავაზება გაეგზავნა მაშინდელ პარლამენტის თავმჯდომარეს, ბატონ დავით უსუფაშვილს. მან შარშან სექტემბერში დაადასტურა ჩემი წერილის მიღება, მისი სერიოზულობა და განხილვის აუცილებლობა. ამ დღეებში აღმოვაჩინე შესაბამისი ვიდეო-ჩანაწერი, რომელსაც აქვე გთავაზობთ: https://www.youtube.com/watch?v=h6Y25PMvvQ8

ასევე საკმაოდ ვრცელი წერილი გაეგზავნა ბ-ნ გიორგი მარგველაშვილს მისი სპიჩრაიტერის ხელით. გარდა ამისა, რამდენიმე შეხვედრა და განხილვა გვქონდა უშიშროების საბჭოს მდივნის

მოადგილესთან, ბ-ნ ლევან ბოძაშვილთან. მან როგორც ჩვენი შეხვედრების დროს, ასევე სხვადასხვა დროს სოციალურ ქსელებში არაერთხელ დაადასტურა ნოოლოგიის სერიოზულობა.

შარშან ივნისში პირადად მივაწოდე ორგვერდიანი წერილი ბ-ნ ბიძინა ივანიშვილს. ამავე დროს, 20 ივნისს გამართულ ეკონომიკურ ფორუმზე მას მოვუწოდე, რომ ჩვენი ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაზე მუშაობა დაიწყოს ჩვენი ეროვნული უსაფრთხოების საკითხის გადაწყვეტით. ოპტიმალიზმის დოქტრინით კი ეს საკითხი კონცეპტუალურად გადაჭრილია.

შარშან 25 ივნისს პირადად მივაწოდე რამდენიმე გვერდიანი წერილი ბ-ნ გიორგი კვირიკაშვილს. ცხადია, ასევე შეხვედრისა და განხილვის შეთავაზებით.

4-ჯერ გვქონდა ნოოლოგიის თემაზე 1 საათიანი შეხვედრები ბ-ნ დავით ნარმანიასთან.

გვქონდა შეხვედრები (თან არაერთჯერ) პარლამენტის მოქმედ წევრებთან: ბ-ნ ზაქარია ქუცნაშვილთან, ბ-ნ გია ჟორჟოლიანთან, ბ-ნ თემურ მაისურაძესთან, ბ-ნ გუბაზ სანიკიძესთან და სხვებთან - პოლიტიკოსებთან, ექსპერტებთან, ანალიტიკოსებთან და ა.შ.

მიუხედავად ზემოხსენებული კომუნიკაციისა, ჯერ არ მომხდარა ნოოლოგიის და ოპტიმალიზმის დოქტრინის განხილვის ინიცირება ჩვენი პოლიტიკოსების მიერ. ამ ყველაფერზე შეუძლებელია არ გაგახსენდეს ფენომენი - **„სირაქლემას პოზა“.**

ცხადია, თავს უფლებას არ მივცემდი, მომემართა ამ წერილით, მით უმეტეს ამგვარი პრეტენზიული ფორმით, თუკი ზემოხსენებულ შეხვედრებზე ოდნავ მაინც გამოიკვეთებოდა, რომ ნოოლოგიის თეორიულ ნაწილს აქვს რამე პრობლემა. პირიქით - ყველა შეხვედრაზე დასტურდებოდა მისი სისწორე, უდიდესი მნიშვნელობა და პრაქტიკული ღირებულებაც.

მოკლედ ნოოლოგიის და მისი ღირებულების შესახებ

2002 წლამდე ბ-ნ ემზარ ხვიჩიას მიერ იქნა დაწერილი, 2004 წელს კი დაიბეჭდა მონოგრაფია, რომელშიც არის პროგნოზები 2008-2027 და 2028-2047 წლებისთვის.

საინტერესოა, რომ ეს პროგნოზები მართლდება. ამის დასტურია - არაბული გაზაფხული, თურქეთში სამხედრო გადატრიალების წარუმატებელი მცდელობა, ტრამპის გამარჯვება აშშ-ში, ბრექსიტი, ლე პენის გასვლა მეორე ტურში, რუსეთის რეაქციები სანქციებზე, საქართველოში მიხეილ სააკაშვილის და მისი გუნდის კრახი და ა.შ. და ა.შ.

ნოოლოგიის გამოყენებით, პრაქტიკულად ტექნიკის საკითხია, მოვახდინოთ **ქართველი ერის საარსებო ინტერესების საერთაშორისო ლეგიტიმაცია,** რაც მოგვცემს ნებისმიერი ტიპის ეკონომიკური პროექტის განხორციელების საშუალებასაც.

მაგრამ თითქმის ყველა ქართველი აფასებს საკუთარ შთაბეჭდილებებზე დაყრდნობით, უფრო სწორად, თავისი შინაგანი განწყობის შესაბამისად და არა შინაარსის მიხედვით. ნათქვამია, შინაურ

მღვდელს შენდობა არ აქვსო. ჰოდა, თქვენი ჩათვლით, ქართველთა უმეტესობა გამოსავალს ელოდება გარედან. ამის ნათელი დადასტურებაა შემოთავაზებული საკონსტიტუციო რეფორმის პროექტიც და განხილვებზე ვენეციის კომისიის ხსენება **ლამის მილიონჯერ..**

წარმოდგენილი საკონსტიტუციო რეფორმის პროექტის კრიტიკა

მცირე შესავალი

არ შევუდგები თქვენს მიერ წარმოდგენილი საკონსტიტუციო რეფორმის პროექტის კრიტიკას მუხლების მიხედვით, მხოლოდ ძირითად საკითხებს შევეხები, ისიც მაქსიმალურად მოკლედ.

ნოოლოგიის მიხედვით დადგენილია, რომ ქართველი ერი (არა ეთნოსი ანუ ეთნიკურ-გენეტიკური წარმონაქმნი, არამედ ერი, როგორც ერთნაირი შინაგანი ფსიქიკური კომპლექსის მქონე პიროვნებათა ერთობა) არის თვისობრივად სხვა ტიპის, ამერიკელი ერი - სხვა ტიპის (ამერიკული ტიპისაა ფრანგები, ინგლისელები და სხვ.). ასევე არსებობს კიდევ 2 ტიპის ერთა კლასი - გერმანული ტიპის ერები და რუსული ტიპის ერები. არც ერთი ერი სხვა ტიპზე არ დაიყვანება.

ნოოლოგიით დადგინდა ისიც, რომ ქართული ტიპის ერებს შორის ლიდერები ვართ და კაცობრიობისთვის, მიუხედავად ჩვენი მცირერიცხოვნობისა, ისევე მნიშვნელოვანი ვართ, როგორც ამერიკელები, რუსები, ჩინელები (როგორც ყველაზე მრავალრიცხოვანი გერმანული ტიპის ერი).

ანალოგიისთვის ავიღოთ ადამიანის ორგანიზმი. თვალები პატარაა, ფეხები - დიდი. მაგრამ რომელია უფრო მნიშვნელოვანი? რომელი ადამიანი დათანხმდება დათმოს თვალები და არა ფეხები, თუ აუცილებლად უნდა დათმოს რომელიმე წყვილი?

ნოოლოგიით დადგინდა, რომ კაცობრიობა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ იქცა ერთიან გლობალურ წარმონაქმნად, რომელშიც ერები სხვადასხვა ტიპის ორგანოების ფუნქციებს ასრულებენ. უფრო მეტად ამ თემას არ განვავრცობ, თუმცა აღვნიშნავ, რომ ნოოლოგიის მასალები მოიცავს ამ პოზიციის კონკრეტულ მტკიცებულებებს.

წარმოდგენილი საკონსტიტუციო რეფორმის პროექტის შესახებ

ეს პროექტი ტოვებს შთაბეჭდილებას, რომ ვასრულებთ უცხო ქვეყნის დავალებებს:

უშიშროების საბჭოს აუქმებთ - პროექტის ავტორები ალბათ ფიქრობთ, რომ ჩვენი ძლიერი მეგობარი, აშშ შეგვისრულებს ამ როლს; ეს შეცდომაა - საქართველოში არც ერთ უცხოურ სახელმწიფოს არ უნდა ჰქონდეს დომინანტური როლი.

შეგაქვთ სპეციალური თავი - ნატოში და ევროკავშირში ინტეგრაცია. ამ დროს ნოოლოგიით კონკრეტულად მტკიცდება, რომ ჩვენი ტიპის ერი არ უნდა იყოს არც ერთი ტიპის ბლოკის წევრი, არამედ უნდა იყოს სხვა ტიპის ერებს შორის თვითრეგულირების ცენტრი. არაფერს ვამბობ ევროკავშირზე, რომლის ორი მიმართულებით დაშლა-განვითარება უფრო ოპტიმალურია.

აუქმებთ მაჟორიტარულ არჩევნებს, აუქმებთ პარტიულ ბლოკებს - შედეგად ამას აუცილებლად მოჰყვება ორპარტიულ სისტემაზე სტაბილიზაცია (როგორც ეს არის აშშ-ში - რესპუბლიკელები და დემოკრატები ცვლიან ერთმანეთს ხელისუფლებაში). ამ დროს ქართველს პოლიტიკა არ ესმის, როგორც იდეოლოგიათა თუ პოლიტიკურ ორგანიზაციათა ჭიდილი. ქართველი სწორებულია ავტორიტეტულ პიროვნებაზე.

წარმოდგენილ პროექტში არაფერია ნათქვამი ქართველი ერის (გინდ ეწეროს ქართველი ხალხი) თვისობრივ ტიპსა და მისთვის ოპტიმალურ ზოგადსაკაცობრიო ისტორიულ როლზე. არადა სწორედ ასეთი ჩანაწერი გამოიწვევს ქართველი ერის კონსოლიდაციას და მაქსიმალურ მოტივირებას.

წარმოდგენილ პროექტში არაა დადასტურებული, რატომ უნდა იყოს საქართველო ძირითადად, უპირატესად და პირველ რიგში ქართველთა (აქაც ხაზს ვუსვამ, რომ საუბარია არა ეთნიკურ, არამედ ფსიქიკურ ფაქტორებზე) კვლავწარმოების ადგილი. ეს ყველაფერი კი ძალიან კონკრეტული ფორმით მიიღება ნოოლოგიის გამოყენებით.

სპეციალურად არაფერს ვიტყვი ე.წ. გაუნაწილებელი მანდატების და სხვა მსგავს საკითხებზე - სჯობია მათზე პროვოკაციის და სკანდალების მოყვარულებმა ილაპარაკონ, ამ ეტაპზე კი ეს მეორეხარისხოვნად მიმაჩნია.

მაგრამ ძალიან მნიშვნელოვანია ის, რომ ე.წ. საპარლამენტო რესპუბლიკის მოდელზე გადადიხართ რეფერენდუმის გარეშე, 2010 წელს მიღებული (!) საკონსტიტუციო ცვლილებების გაგრძელება-განვითარების გზით.

რა უნდა ეწეროს საქართველოს კონსტიტუციაში აუცილებლად (ნოოლოგიის მიხედვით)

პირველ რიგში უნდა ეწეროს, თუ რა ფენომენია ქართველი ერი და რა მნიშვნელოვანი ზოგადსაკაცობრიო ოპტიმალური როლის შესრულების პრეტენზია და პოტენციალი გააჩნია მას - ეს არის სამი სხვა ტიპის ერებს შორის თანხმობის პროცესების მართვა.

ასევე უნდა ეწეროს, თუ რატომ უნდა იყოს საქართველოს ტერიტორია ძირითადად, უპირატესად და პირველ რიგში ქართველთა კვლავწარმოების ადგილი. სწორედ ამგვარი რამის დასაბუთების შემდეგ მოგვეცემა ქართველებს ჩვენი ბუნებრივი რესურსების რეალურად გამოყენების შესაძლებლობა. ახლა კი ბევრი პროექტი უბრალოდ დაბლოკილია.

ჩვენი პრეზიდენტობის კანდიდატი უნდა წარადგინოს ჩვენმა რეფორმირებულმა მეცნიერებათა აკადემიამ და უნდა დაამტკიცოს უცხო ქვეყნის წარმომადგენლებისგან შემდგარმა ამომრჩეველთა კოლეგიამ. ანუ ჩვენი პრეზიდენტის ფუნქცია იქნება რეფორმირებული გაეროს თავმჯდომარეობა. საქართველო კი უნდა იყოს რეფორმირებული გაეროს - „განათლებულ ერთა თანხმობის ორგანიზაციის“ მასპინძელი ქვეყანა.

ცხადია, ზემოხსენებული ფუნქციის მისაღებად მოგვიწევს სუვერენიტეტის გარკვეულწილად დათმობა. მაგრამ ნოოლოგიით კონკრეტულად მტკიცდება ამგვარი რამის ოპტიმალურობა.

ჩვენი განათლების სისტემა უნდა მართოს ჩვენმა მეცნიერებათა აკადემიამ და ის უნდა იყოს სრულიად ავტონომიური ინსტიტუცია.

ნოოლოგიით კონკრეტულად მტკიცდება, რომ პოლიტიკოსების ლეგიტიმაცია უნდა მოახდინოს სამეცნიერო ინსტიტუციამ, როგორც შუა საუკუნეებში რელიგიური ინსტიტუცია ახდენდა პოლიტიკოსების ლეგიტიმაციას. ესეც აუცილებლად უნდა მიეთითოს ჩვენს კონსტიტუციაში.

პარალელურად საქართველო უნდა იყოს ფუტუროლოგიური კვლევების ცენტრი.

ჩვენს სივრცეში არც ერთი უცხოური სახელმწიფო, აშშ-ს და რუსეთის ჩათვლით, არ უნდა იყოს დომინანტური.. ყველა მათგანს უნდა ჰქონდეს თანაბარი გავლენა. არაა საუბარი ნეიტრალიტეტზე, პირიქით - როგორც ზემოთ არაერთხელ აღვნიშნე, საქართველო უნდა იყოს კაცობრიობის შიდა პროცესების თვითრეგულირების ცენტრი.

მოკლედ, საქართველოსთვის ოპტიმალური კონსტიტუციის მიღება, ნოოლოგიის და ოპტიმალიზმის დოქტრინის შინაარსების გაუთვალისწინებლად არის უბრალოდ რომ ვთქვათ, როგორც ფუჭი, ასევე უმადური საქმიანობა. მცირე ერის და სახელმწიფოს კონცეფცია, აშშ-ს თუ ევროპის ინტერესების პატარა დანამატად ქცევა ნამდვილად არაა სასურველი ჩვენთვის, მაგრამ მნიშვნელოვანი ისაა, რომ მსგავსი რამ არაა ოპტიმალური და სასურველი მთელი კაცობრიობისთვის..

რეზიუმე

ნოოლოგიის ცენტრის წევრთა საერთო აზრით, ნოოლოგიის და ოპტიმალიზმის დოქტრინის შინაარსების გაუთვალისწინებლად შეუძლებელია მეცნიერულ დონეზე ვიცოდეთ, თუ რა ფენომენია ქართველი ერი და ქართული სახელმწიფო. სწორედ ამიტომ საქართველოს კონსტიტუციის რეფორმაზე მუშაობა ნოოლოგების აზრის გაუთვალისწინებლად არის, რბილად რომ ვთქვათ, ფუჭი საქმიანობა.

შესაბამისად, მოგიწოდებთ მოაწყოთ შეხვედრა/განხილვა ნოოლოგიის და ოპტიმალიზმის დოქტრინის თემებზე, ცხადია, აკადემიურ ფორმატში.

პატივისცემით და საუკეთესო სურვილებით,
ლაშა შამათავა
ნოოლოგიის ცენტრის წევრი
მობ: 571 006781

პ.ს. ბოდიშს ვიხდი წერილის დაუხვეწაობის გამო - ეს არის მხოლოდ და მხოლოდ პრევენციული მიზნით მოწოდებული წერილი, სამწუხაროდ, ამ ეტაპზე ჩვენ არ ველოდებით თქვენგან აქტიურ მხარდაჭერას და კომუნიკაციას.